## ენათმეცნიერება Linguistic

# ქუთაისელ ებრაელთა ქართული მრავალენოვანი ეპიტაფიები

**მანანა მიქაძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail: mananamikadze123@gmail.com
ORCID: 0000-0001-8490-4813
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.06
**SJIF 2026: 8.**679

*ეპიგრაფიკის შესწავლა საინტერესო ცნობებს იძლევა სხვადასხვა დარგისათვის – ფილოლოგიისათვის, ისტორიისათვის, რელიგიის ისტორიისათვის, ეთნოგრა-ფიისათვის, ონომასტიკისათვის. ეპიგრაფიკულ ძეგლებში, როგორც წარსულის რეალურ ნაშთში, ასახულია ამა თუ იმ ქვეყნის ადრინდელი კულტურულ-ისტორიული ვითარება ყოველგვარი შესწორების გარეშე. მეცნიერებად ეპიგრაფიკა XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა, როდესაც მკვლევრებმა დაიწყეს ბერძნული და ლათინური წარწერების კორპუსების გამოცემა, აღმოსავლეთის ქვეყნებში აღმოჩენილ წარწერათა გაშიფრვა-პუბლიკაცია. ამ მკვლევართა შორის არიან: დიუბუა დე მონპერე, მ. ბროსე, ნ. მარი, დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, პ. იოსელიანი, ა. ხახანაშვილი და სხვ. ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გამორკვევისთვის. ისინი ზოგჯერ ერთადერთ წერილობით წყაროს წარმოადგენენ. მათ ფაქტების ფიქსაციის დიდი სიზუსტე ახასიათებთ და მთელი რიგი საინტერესო ისტორიული ცნობების დადგენის შესაძლებლობას გვაძლევენ.*

**საკვანძო სიტყვები:** ქუთაისელი ებრაელები, საფლავის ქვები, ეპიტაფიები

საყოველთაოდ ცნობილია, ეპიგრაფიკის შესწავლა საინტერესო ცნობებს იძლევა სხვადასხვა დარგისათვის – ფილოლოგიისათვის, ისტორიისათვის, რელიგიის ისტორიისათვის, ეთნოგრაფიისათვის, ონომასტიკისათვის. ეპიგრაფიკულ ძეგლებში, როგორც წარსულის რეალურ ნაშთში, ასახულია ამა თუ იმ ქვეყნის ადრინდელი კულტურულ-ისტორიული ვითარება ყოველგვარი შესწორების გარეშე. მეცნიერებად ეპიგრაფიკა XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა, როდესაც მკვლევრებმა დაიწყეს ბერძნული და ლათინური წარწერების კორპუსების გამოცემა, აღმოსავლეთის ქვეყნებში აღმოჩენილ წარწერათა გაშიფრვა-პუბლიკაცია.

ამ მკვლევართა შორის არიან: დიუბუა დე მონპერე, მ. ბროსე, ნ. მარი, დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, პ. იოსელიანი, ა. ხახანაშვილი და სხვ. ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გამორკვევისთვის. ისინი ზოგჯერ ერთადერთ წერილობით წყაროს წარმოადგენენ. მათ ფაქტების ფიქსაციის დიდი სიზუსტე ახასიათებთ და მთელი რიგი საინტერესო ისტორიული ცნობების დადგენის შესაძლებლობას გვაძლევენ. ისინი წარმოადგენენ წარსულის პირველად წერილობით უტყუარ წყაროს, რომელთაც გადამწერთა ჩასწორებები არ შეხებიათ.

კულტურული ცხოვრების ეპოქისთვის დამახასიათებელი სინამდვილე წაიშლება. საფლავის ქვები, როგორც ეპიგრაფიკული ძეგლები, გლობალიზაციის ეპოქაში საფრთხის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობაა, ამდენად, მისი აღწერა-შესწავლა საშური საქმეა.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში საფიჩხიის დღევანდელი სასაფლაო არ არსებობდა, ეს ადგილი იყო ტყის მასივი, სადაც ადამიანები ფიჩხის შესაგროვებლად თუ მიდიოდა. ქალაქის ზრდამ გამოიწვია ამ ადგილის განაშენიანება. საუკუნენახევრის წინ ე.წ. გაუკაფავ ტყის ნაწილში მოეწყო „ინტერნაციონალური“ (ქართველების, კათოლიკეების, სომხების, ებრაელების და სხვა) სასაფლაოები (გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1967 წლის 16 ნოემბერი, ავტორი შ. ლომთაძე).

ქუთაისის საფიჩხიის სასაფლაოზე, რომელიც ქართველ მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ძველ ისტორიულ სასაფლაოს წარმოადგენს, ერთი დიდი მონაკვეთი უკავია ქუთაისელ ებრაელთა საფლავებს, საკითხი შესწავლილი არ არის და იგი ამდენად ძალიან საინტერესოა ქართულ-ებრაული ურთიერთობების მრავალსაუკო-ნოვანი ტრადიციის შესასწავლად. საფიჩხიის სასაფლაოზე დაკრძალულთა შორის არიან ებრაელი მწერლები, ექიმები, მასწავლებლები, ადამიანები, რომლებიც ქართველებთან ერთად ქუთაისის ისტორიას ქმნიდნენ.

საფლავის ქვა გავრცელებული მემორიალური კულტურის ძეგლია. ის ერის მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებურებათა ამსახველი მნიშვნელოვანი ობიექტია. ეპიტაფიებთან დაკავშირებით დავძენთ, რომ ქვის წარწერები აღნიშნავენ

არა მხოლოდ ადამიანთა ვინაობას, სქესს, დაბადებისა და გარდაცვალების დროს, არამედ გვიყვებიან სოციალური მდგომარეობის, გავრცელებული გვარების, ქალისაგან დაოჯახების შემდეგ გვარის შეცვლის, ანთროპონიმების, ტოპონიმიის, ლექსიკა-ფრა-ზეოლოგიის, დიალექტიზმების შესახებ, ასევე, ადამიანთა სევდის, წუთისოფელთან დამოკიდებულების, პროფესიის, რელიგიური და იდეოლოგიური გავლენების შესახებ. სხვადასხვაგვარი ფორმის, ზომის ქვები პირველწყაროა კალიგრაფიისა და ქვაზე კვეთის, ორნამენტის, სიმბოლიკის, კულტურათა გავლენა-შერევის, ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

საფიჩხიის ებრაელთა სასაფლაოზე ეპიტაფიები ივრითულ რუსულ, ქართულ ენებზეა შესრულებული, ან ერთდროულად ორ ენაზე ივრითსა და ქართულად, ან ქართულად და რუსულად, ან მხოლოდ ქართულად, ან მხოლოდ ივრითზე. ამ სტატიაში რუსულენოვან ეპიტაფიებზე მსჯელობა არ გვექნება.

საანალიზო ნაშრომში განვიხილავთ ჩვენ მიერ ქუთაისში, კერძოდ საფიჩხიის სასაფლაოზე საფლავის ქვებზე დატანილი ეპიტაფიის სახე-ფორმებს, რომლებიც შეიძლება ასე დავაჯგუფოთ:

1. თხრობითი ეპიტაფიები;

2. ლექსის ტიპის ეპიტაფიები, სადაც გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

ა) ჭირისუფლის მიერ დაწერილი ლექსები, ბ) პოეტთა ცნობილი ლექსები

ან ციტატები გამოჩენილ ადამიანთა შემოქმედებიდან;

3. ლოცვის პერიფრაზები ეპიტაფიად.

1.თხრობითი ეპიტაფიები Narrative epitaphs

საფიჩხიის ებრაელთა საფლავები:

ა) ზედა მხარეს ქვას წარწერა აქვს ივრითზე, ხოლო მის გასწვრივ ქართულად, რომელიც ასე იკითხება:

„აქ განისვენებს გაბრიელ

მეორე აბზაცი - არიამინის ძე რიჟინაშვილი

მესამე აბზაცი – შობილი დაბადებიდან 34 წლის, გარდაიცვალა 1920 წელსა“ (სურათი #1)



სურათი N1

ბ) ამ საფლავის წარწერა მხოლოდ ქართულენოვანია: „აქ განისვენებს სარა ყღ...უ (ასოები წაშლილია) (# 4119, 4121)

მეორე ხაზი - ხის ყიური შვილის ასული მეუღლე

მესამე ხაზი – გაბრიელ ელიგულაშვილისა

მეოთხე ხაზი - 30 აგვისტო 1912 შობილი დაბადებიდან 34 წლის, გარდაიცვალა 1920 წელსა“

ეს სიტყვები ღრმა შთაჭრით არის ამოტვიფრული, ქვას ირგვლივ აქვს ვაზის მტევნების 4 ბარელიეფი. საფლავის ლოდი ჰორიზონტალური თეთრი თლილი ქვაა, სიგრძე – 2 მეტრი, სიმაღლე – 1,80 მ. გამოყოფილია სიმაღლის 3 ფენა-ძირი, შუა ფენა

– წარწერისათვის, რაც შეეხება წარწერას, იგი შთაკვეთითაა შესრულებული, ღრმად ამოჭრილი ასოები შესრულებულია გოგებაშვილის 4-ხაზოვანი კალიგრაფიით.

საფიჩხიის სასაფლაოზე საკმაო რაოდენობის საფლავის ქვებია ვაზის ბარელიეფებით, რაც იმის მანიშნებელია, რომ ებრაელები საკმაოდ ადრეულ საუკუნეებში ეზიარნენ ქართულ

კულტურას, ისინიც ქართველების მსგავსად წურავდნენ და აყენებდნენ ღვინოს, თუმცა მათი ღვინო ქართული ღვისინასაგან განსხვავებულია და მას ქაშერს უწოდებდნენ.

გვხვდება საფლავები, რომელზედაც მხოლოდ მიცვალებულთა სახელი, გვარი, დაბადება-გარდაცვალების თარიღები და ვინ დაადო ქვა, ეს ინფორმაციაა მოცემული:

ა) მარცხენა მხარეს ივრითული წარწერაა, მარჯვენა მხარეს კი ქართული წარწერა:

პირველი ხაზი - თინა შინელის ასული

მეორე ხაზი - შალომა

მესამე ხაზი – რიჟინაშვილისა 11 ნოემბერი 1979 (სურათი #2)



სურათი N2

ბ)პირველი ხაზი - თიკო ბენიამინის ასული
მეორე ხაზი - თავიდაშვილი
მესამე ხაზი – ფიჩხაძე
მეოთხე ხაზი – 1910-1988 (სურათი #3)



სურათი N3

2.ლექსის ტიპის ეპიტაფიები

2.1. ჭირისუფლის მიერ დაწერილი ლექსები

გვხვდება ეპიტაფიები, რომლებსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ლექსი, რადგან უმრავლესობა რითმის, რიტმისა და მხატვრული სახეებისაგან სრულიად დაცლილი „ვითომ ლექსია“ :

პირველი ხაზი - წვრილი ცოლშვილი
მეორე ხაზი - რომ ამიტირეს
მესამე ხაზი – საწყალი მამა
მეოთხე ხაზი - მოხუცებული ჩემი
მეხუთე ხაზი - სიკვდილით
მეექვსე ხაზი - ატირებული ჩემს
მეშვიდე ხაზი - საფლავთან მოდის
მერვე ხაზი - დამტირის და ჩემსკენ
მეცხრე ხაზი - აქვს სული და გული (სურათი #4)



სურათი N4

ეპიტაფია თანამედროვე მხედრულია, ცალ-ცალკე ასოები გადაბმის გარეშეა. შესრულებულია ორხაზოვანი სისტემით, ყველა ასო ერთმანეთის ტოლია. მარმარილოს დაფის თავსა და გვერდებზე ფოთლოვანი ტოტებია წარმოდგენილი, შუაში – ოვალური სურათი.

ჩვენ მიერ დადასტურებული ეპიტაფიები საინტერესოა არა მხოლოდ ენობრივი, არამედ მენტალობის, მსოფლმხედველობის კვლევის თვალსაზრისით; ისინი გამოხატავენ ზოგადად ეთნოსის და არა მხოლოდ ინდივიდთა ფსიქოლოგიას. შეიძლება ითქვას, რომ საფლავის ქვებზე ადამიანის ზოგადად სოფელ-ქვეყანაზე ცხოვრების ისტორიის დაწერის ტრადიცია დღესაც მეტ-ნაკლებად გრძელდება, მაგრამ თანდათან შეიძლება ყოველივე ეს დაიკარგოს.

**ლიტერატურა:**

1.არაბული 2007: არაბული ა., თათარაიძე ე., *შენდობით მომიხსენიეთ*. თბილისი, 2007.
2. შ. ლომთაძე, სტატია გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“,16 ნოემბერი, 1967;

**Manana Mikadze**
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
e-mail: mananamikadze123@gmail.com
ORCID: 0000-0001-8490-4813
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.06
**SJIF 2026: 8.**679

# Georgian Multilingual Epitaphs of the Jews of Kutaisi

Abstract

Tombstones are important monuments that refect the features of national material and spiritual culture. “Stone inscriptions” not only indicate the identity, gender, dates of birth and death of individuals, but also inform us about the social status, surnames, anthroponyms, toponymy, vocabulary, phraseology, and dialectisms widespread in a given village or community; they also show the human relationship with the earthly life, and indicate their profession, and religious as well as ideological infuences. Stones of various forms and sizes represent the source of calligraphy, stone carving, ornaments, cultural infuences, and blending. The proposed paper deals with the analysis of types and forms of epitaphs refected on tombstones (dated back to the 19th–20th cc.), discovered by us during expeditions in diferent parts of Georgia, specifcally:

1. narrative epitaphs;
2. rhyme-type epitaphs: a) rhymes authored by mourners; b) celebrated verses
of poets and quotations of famous individuals;
3. Paraphrased prayers. of writing the stories of life on tombstones, to a greater or lesser extent, is still alive. However, it may disappear. In such a case, monotony will prevail. Tombstones, similar to the epigraphic monuments, represent cultural legacy afected by threats in the ghreats in the globalization era. Therefore, it is crucial to ensure their description and examination.

Epitaphs at the Sapichkhia Jewish cemetery are inscribed in Hebrew, Russian and Georgian – either in two languages smultaneously (Hebrew and Georgian or Georgian and Russian) or in Georgian and Hebrew alone.In this article we will not discuss Russian-language epitaphs.

**რეცენზენტი:** პროფესორი იოლანტა ხომკო